

შპს „ჯეო ჰაუსი“ ს/ნ 205236056

---

ფინანსური ანგარიშგება

2018-2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

## ს ა რ ზ ე ვ ი

|                                                         |            |
|---------------------------------------------------------|------------|
| - ფინანსური მდგომარეობა -----                           | 2-3 გვ     |
| - საქმიანობის შედეგები -----                            | 4-5 გვ     |
| - ზოგადი ინფორმაცია -----                               | 6 გვ       |
| - ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი -----     | 7 გვ       |
| - არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა -----                    | 8 გვ       |
| - ამონაგების აღიარება -----                             | 8 გვ       |
| - ხარჯების აღიარება -----                               | 9-10-11 გვ |
| - ძირითადი საშუალებები -----                            | 11-12 გვ   |
| - მარაგები -----                                        | 13 გვ      |
| - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები -----                      | 13-14 გვ   |
| - რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები -----        | 14 გვ      |
| - კაპიტალის მართვა -----                                | 14 გვ      |
| - დივიდენდი -----                                       | 14 გვ      |
| - იჯარა -----                                           | 15 გვ      |
| - გრძელვადიანი სასესხო და ფინანსური ვალდებულებები ----- | 15 გვ      |
| - ფულადი სახსრების ექვივალენტები -----                  | 15-16 გვ   |

**ფინანსური მდგომარეობა**

| <b>აქტივები</b>                                     | <b>31/12/2019</b> | <b>31/12/2018</b> | <b>01/01/2018</b> |
|-----------------------------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| ფული და ფულის ეკვივალენტები                         | 46187             | 160661            | 198937            |
| სავაჭრო მოთხოვნები                                  | 15722             | 2300              | 10154             |
| გადახდილი ავანსები                                  | 130               | 0                 | 0                 |
| მარაგები                                            | 164432            | 82809             | 187955            |
| მზა პროდუქცია                                       | 105582            | 11372             | 160898            |
| სხვა                                                | 58850             | 71437             | 27057             |
| საინვესტიციო ქონება                                 | 47715             | 120871            | 115783            |
| სხვა მიმდინარე აქტივები                             | 46448             | 17367             | 19233             |
| ბიოლოგიური აქტივები                                 | 0                 | 0                 | 0                 |
| თვითღირებულების მოდელით                             | 0                 | 0                 | 0                 |
| გადაფასების მოდელით                                 | 0                 | 0                 | 0                 |
| გუდვილი                                             | 0                 | 0                 | 0                 |
| სხვა არამატერიალური აქტივები                        | 0                 | 0                 | 0                 |
| ძირითადი საშუალებები                                | 1091351           | 588312            | 511133            |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                   | 0                 | 0                 | 0                 |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში | 0                 | 0                 | 0                 |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                          | 115765            | 460641            | 69765             |
| <b>სულ აქტივები</b>                                 | <b>1527750</b>    | <b>1432961</b>    | <b>1112960</b>    |
| <b>ვალდებულებები</b>                                |                   |                   |                   |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება                        | 48236             | 67194             | 77052             |
| სავაჭრო ვალდებულებები                               | 119009            | 140233            | 88144             |
| ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები               | 0                 | 0                 | 0                 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                  | 22825             | 0                 | 0                 |

|                                                                                                   |                |                |                |
|---------------------------------------------------------------------------------------------------|----------------|----------------|----------------|
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                        | 0              | 11140          | 7661           |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი                                                                        | 12690          | 0              | 0              |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები                                                                   | 40500          | 0              | 0              |
| გრძელვადიანი სასესხო<br>ვალდებულებები                                                             | 522579         | 705243         | 269248         |
| მიღებული გრანტები                                                                                 | 0              | 0              | 0              |
| სხვა ვალდებულებები                                                                                | 392011         | 147821         | 130332         |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                                                          | <b>1157850</b> | <b>1071631</b> | <b>572437</b>  |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                                          |                |                |                |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში<br>'კაპიტალი', კოოპერატივის<br>შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 166205         | 166000         | 120000         |
| საემისიო შემოსავალი                                                                               | 47715          | 120781         | 115783         |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                      | 0              | 0              | 0              |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი                                                                     | 155980         | 74549          | 304740         |
| გადაფასების რეზერვი                                                                               | 0              | 0              | 0              |
| სხვა რეზერვები                                                                                    | 0              | 0              | 0              |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                                                                      | <b>369900</b>  | <b>361330</b>  | <b>540523</b>  |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და<br/>ვალდებულებები</b>                                                 | <b>1527750</b> | <b>1432961</b> | <b>1112960</b> |
|                                                                                                   |                |                |                |

**საქმიანობის შედეგები**

| <b>საქმიანობის შედეგები</b>                                            | <b>2019</b> | <b>2018</b> |
|------------------------------------------------------------------------|-------------|-------------|
| ნეტო ამონაგები                                                         | 1398142     | 1574632     |
| საქონლის გაყიდვიდან                                                    | 1398142     | 1574632     |
| მომსახურების გაწევიდან                                                 | 0           | 0           |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან                                           | 0           | 0           |
| სხვა                                                                   | 0           | 0           |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება                                  | -709183     | -897372     |
| საწყისი მარაგები                                                       | 0           | 0           |
| მარაგების შესყიდვა                                                     | 0           | 0           |
| გადამუშავების დანახარჯები                                              | 0           | 0           |
| საბოლოო მარაგები                                                       | 0           | 0           |
| საერთო მოგება                                                          | 688959      | 677260      |
| სხვა შემოსავალი                                                        | 0           | 0           |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                               | -258402     | -330784     |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                   | -85469      | -61361      |
| საპროცენტო შემოსავალი:                                                 | 51342       | 66914       |
| საპროცენტო ხარჯი :                                                     | -74156      | -93350      |
| იჯარის ხარჯი                                                           | -48237      | -67194      |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                               | -255111     | -45714      |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                                 | -670033     | -531489     |
| საოპერაციო მოგება                                                      | 18926       | 145771      |
| <b>გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:</b>                              |             |             |
| ფინანსური აქტივები                                                     | 0           | 0           |
| მარაგები                                                               | 0           | 0           |
| სხვა არაფინანსური აქტივები                                             | 0           | 0           |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან                 | -540        | -1563       |
| მიღებული დივიდენდები                                                   | 0           | 0           |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)                          | 0           | 0           |
| მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან | 18386       | 144208      |
| მოგების გადასახადი                                                     | 0           | 0           |
| მოგება/(ზარალი)                                                        | 18386       | 144208      |

|                                                                                                                                   |               |               |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------|---------------|
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</b>                                                                                          |               |               |
| ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი                                                            | 0             | 0             |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები) | 0             | 0             |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ                                                                                             | 0             | 0             |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                                                                               | 18386         | 144208        |
| კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)                                                                                  | 361330        | 540523        |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')              | 0             | 0             |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                                                                                    | 0             | 0             |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                                                                             | 0             | 0             |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                                                                                         | -9816         | -323401       |
| <b>კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</b>                                                                                      | <b>369900</b> | <b>361330</b> |
|                                                                                                                                   |               |               |

## 1 ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯეო ჰაუსი“, როგორც კერძო სამართლის იურიდიულ პირი, რეგისტრირებულია საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მიერ.

საზოგადოების საგადასახადო რეგისტრაცია (აღრიცხვაზე აყვანა) განახორციელა სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციამ და მიანიჭა გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 205236056.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებლებს წარმოადგეს 2 ფიზიკური პირი.

პარტნიორების წილობრივი მდგომარეობა შემდეგნაირია:

- პაატა რაჭველიშვილი - წილი 50%
- დავითი რაჭველიშვილი - წილი 50 %

ანგარიშგების მომზადების დროს, საზოგადოებს იურიდიულ და ფაქტიურ მისამართს წარმოადგენს: გარდაბნის რაიონი სოფელი კრწანისი.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კარებისა და ავეჯის წარმოება, როგორც ინდივიდუალური ასევე სერიული წარმოებით.

კომპანიის საქმიანობის არეალი ფაქტობრივად არ სცილდება საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებს ქ. თბილისის, ქ. რუსთავისა და სხვა ძირითად ქალაქებს.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

## 2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) 2019 წლის რედაქციის მიხედვით. საზოგადოებამ მსს ფასს პირველად გამოიყენა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად, გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება - „მსს ფასს-ზე გადასვლა“.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს საზოგადოების პირველ მეორე ანგარიშგებას. მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს საზოგადოებამ გააკეთა კორექტირება, კერძოდ: ძირითადი საშუალებების ზრდა, აღიარება 129 283 ლარად, რამაც გამოიწვია საწესდებო კაპიტალის ცვლილება. სხვა, არსებითი ცვლილებები ანგარიშგების მომზადების დროს არ გამოგვივლენია.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ საზოგადოება განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2018-2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

### 3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ. მოქმედი და წარსადგენი ვალუტა საზოგადოების მოქმედი/(სამუშაო) ვალუტა არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს მირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება საზოგადოების ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებულ შეუზღუდავ ანგარიშებზე არსებული ნაშთისგან. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსით.

### 4 ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ საზოგადოების მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღებ ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაცი- იდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საზოგადოებაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრე- ლობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

| ➤ ნეტო ამონაგები                           | 2019 წელი             | 2018 წელი             |
|--------------------------------------------|-----------------------|-----------------------|
| ამონაგები კარებისა და ავეჯის რეალიზაციიდან | 1 398 142 ლარი        | 1 574 632 ლარი        |
| სხვა შემოსავალი                            | 0                     | 0                     |
| <b>ჯამი</b>                                | <b>1 398 142 ლარი</b> | <b>1 574 632 ლარი</b> |

## 5 ხარჯების აღიარება

ხარჯების ცნება მოიცავს, ხარჯებს და ზარალს, რომელიც წარმოიშობა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება განხილულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

| ➤ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | 2019 წელი           | 2018 წელი           |
|-----------------------------------------|---------------------|---------------------|
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება   | -709 181 ლარი       | -897 372 ლარი       |
| <b>ჯამი</b>                             | <b>709 181 ლარი</b> | <b>897 372 ლარი</b> |

ხოლო, საერთო ადმინისტრაციული ხარჯები გათვალისწინებულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

| ➤ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები      | 2019 წელი     | 2018 წელი     |
|------------------------------------------|---------------|---------------|
| დასაქმებულთა ანაზღაურება                 | -205493       | -297317       |
| ცვეთა და ამორტიზაცია                     | -85469        | -61361        |
| იჯარის ხარჯი                             | -48237        | -67194        |
| კომუნალური ხარჯი                         | -34345        | -37842        |
| საგადასახადო ხარჯი                       | -74795        | -33467        |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | -221694       | -34308        |
| <b>ჯამი</b>                              | <b>670033</b> | <b>531489</b> |

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

### 2019 წელს

- საწყისი მარაგები - 82 809 ლარი
- საბოლოო მარაგები - 164 432 ლარი
- წლის განმავლობაში შეძენილი მარაგები - 790 806 ლარი

### 2018 წელს

- საწყისი მარაგები - 187 955 ლარი
- საბოლოო მარაგები - 82 809 ლარი
- წლის განმავლობაში შეძენილი მარაგები - 792 226 ლარი

საერთო ადმინისტრაციული ხარჯებიდან დანახარჯების ელემენტებს დიდი ხვედრითი წილით მიეკუთვნება შრომის ანაზღაურება, რომელიც კორექტირებულია საშემოსავლო გადასახადით.

კომუნალური ხარჯები შედგება ძირითადად ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის ხარჯებისაგან.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისათვის გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15 % იანი მოგების გადასახადის განაკვეთით. ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15 % იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილებების შედეგად აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არარსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი

დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

## 6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. ძირითადი საშუალების ერთეული რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საზოგადოება ყველა ძირითადი საშუალებას აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინიწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საზოგადოებისათვის.

მიწა და შენობები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღირიცხება ცალ-ცალკე, ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია შემცირებადი ნაშთის მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თავდაპირველ ღირებულებას აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით. ძირითადი საშუალებების სახეების მიხედვით დადგენილი ცვეთის ნორმა მოცემულია ქვემოთ.

- შენობები და ნაგებობები 5%
- მანქანა დანადგარები 20%
- ოფისის აღჭურვილობა 20%
- ავეჯი და ინვენტარი 20%
- სატრანსპორტო საშუალებები 20%

ძირითადი საშუალებები 2018 წლის მდგომარეობით შეადგენს - 588 312 ლარს. ძირითადი საშუალებები წინა წელთან შედარებით გაზრდილია შესყიდული მიწის ღირებულებით 46 000 ლარით, ასევე გაზრდილია საინვესტიციო ქონება ტექნოლოგიური პროცესების გასაუმჯობესებლად, რაც მომავალში მოგვცემს დამატებით საინვესტიციო შემოსავალს და შეადგენს - 120 871 ლარს.

2019 წელში მოხდა, ძირითადი საშუალებების არსებითი ცვლილება. ზრდამ შეადგინა 85%.

აშენებულ და ექსპლუატაციაში გაშვებულ იქნა საწარმოს კომპუსი, ღირებულებით - 433 550 ლარი.

## 7 მარაგები

მარაგები ანგარიშგებაში კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე აქტივები, რომელიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულების გაანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

| ➤ მარაგები           | 2019 წელი           | 2018 წელი           |
|----------------------|---------------------|---------------------|
| ნედლეული და მასალები | 164 432 ლარი        | 82 809 ლარი         |
| მზა პროდუქცია        | 105 582 ლარი        | 11 372 ლარი         |
| სხვა                 | 58 850 ლარი         | 71 437 ლარი         |
| <b>ჯამი</b>          | <b>328 864 ლარი</b> | <b>165 618 ლარი</b> |

## 8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საზოგადოება საქონლისა და მომსაურების გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზოგადოება ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

## 9 რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

## 10 კაპიტალის მართვა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საზოგადოების საწესდებო კაპიტალი გაიზარდა და 2019 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 369 900 ლარს.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით საზოგადოების მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისათვის მოგების მიცემა.

## 11 დივიდენდი

საზოგადოების შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს. გაუნაწილებელ მოგებაში დივიდენდების ასახვა ხორციელდება, მათი გამოცხადების პერიოდში, საანგარიშო პერიოდში საზოგადოების მოწილეებზე არ მომხდარა დივიდენდების გაცემა. გაუცემელი დივიდენდები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშში და მიმართულია კაპიტალის სტაბილიზაციისათვის. (აღნიშნულ პერიოდში მიმდინარეობდა საწარმოს განახლება, როგორც ახალი შენობა-ნაგებობების შეძენით, ასევე ტექნოლოგიური საშუალებების შეძენაზე).

## 12 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარის კლასიფიკაცია ხდება იჯარის დასაწყისში და არ იცვლება მისი ვადის განმავლობაში. თუ შემდეგ მოიჯარე და მეიჯარე გადაწყვეტენ საიჯარო პირობების შეცვლას (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც უბრალოდ იჯარა განახლდება), აუცილებელია იჯარის კლასიფიკაციის გადახედვა.

## 13 გრძელვადიანი სასესხო და ფინანსური ვალდებულებები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები, საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯამურად შეადგენს 522 579 ლარს, რაც თიბისი ბანკის 2018 წელში აღებულ გრძელვადიანი სესხების ანგარიშებზე არსებულ დავალიანებას.

## 14 ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთებს

| ➤ ფული და ფულის ექვივალენტები | 2019 წელი      | 2018 წელი      |
|-------------------------------|----------------|----------------|
| <b>წლის დასაწყისში</b>        |                |                |
| - ფული ბანკში                 | - 46 259 ლარი  | - 126 222 ლარი |
| - ფული სალაროში               | - 119 329 ლარი | - 65 052 ლარი  |
| <b>წლის ბოლოს</b>             |                |                |
| - ფული ბანკში                 | - 39 373 ლარი  | - 46 259 ლარი  |
| - ფული სალაროში               | - 6 814 ლარი   | - 119 329 ლარი |

უცხოული ვალუტაში გამოსახული ექვივალენტები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში, იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში (საზოგადოების სამუშაო ვალუტა). საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

შპს „ჯეო ჰაუსი“ ს/ნ 205236056

---

ფინანსური ანგარიშგება

2018-2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

## ს ა რ ზ ე ვ ი

|                                                         |            |
|---------------------------------------------------------|------------|
| - ფინანსური მდგომარეობა -----                           | 2-3 გვ     |
| - საქმიანობის შედეგები -----                            | 4-5 გვ     |
| - ზოგადი ინფორმაცია -----                               | 6 გვ       |
| - ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი -----     | 7 გვ       |
| - არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა -----                    | 8 გვ       |
| - ამონაგების აღიარება -----                             | 8 გვ       |
| - ხარჯების აღიარება -----                               | 9-10-11 გვ |
| - ძირითადი საშუალებები -----                            | 11-12 გვ   |
| - მარაგები -----                                        | 13 გვ      |
| - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები -----                      | 13-14 გვ   |
| - რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები -----        | 14 გვ      |
| - კაპიტალის მართვა -----                                | 14 გვ      |
| - დივიდენდი -----                                       | 14 გვ      |
| - იჯარა -----                                           | 15 გვ      |
| - გრძელვადიანი სასესხო და ფინანსური ვალდებულებები ----- | 15 გვ      |
| - ფულადი სახსრების ექვივალენტები -----                  | 15-16 გვ   |

შპს „ჯეო ჰაუსი“ ს/ნ 205236056

ფინანსური ანგარიშგება

2018-2019 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისათვის

### ფინანსური მდგომარეობა

31/12/2019

31/12/2018

01/01/2018

#### აქტივები

|                                                     |                |                |                |
|-----------------------------------------------------|----------------|----------------|----------------|
